

სსრკ-ის ოფისური

1970

სუთვაბათი, 31 ოქტომბერი

1896—1902

ქველ-დღისი გამოსვლა

№ 1970

გაზეთი დიხს: წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., კალკე ნომერი—3 კაპ., ფასი განცხადებისა: გვერდობრივი სტრიქონი „პერიტი“ პირველ გვერდზე—1 კაპ., მეორეზე—5 კაპ., ხელის-მოწერა და დასაბუთებელი განცხადებანი მიიღება: „მოაბი“—სტამბის ფურც., რედაქციის კონტორაში განკუთვნილ დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კოსტეში (ქვეშეთის ვაკისუბის პირდაპირ).

ხელ-მოწერები წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბუთებელი წერილები რედაქციის სახელმძღვანელო უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მისამართზე და რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვ-რა-უქმებებს გარდა, შუადღის 11—1 საათამდე. ფოსტის ადრესი: Тифлисть, въ редакцію „Дობის-ურდელა“-„შოამბე“. ტელეფონი № 372.

ქობა შარანოვის კმ, ტარაშია შარანოვის ასული და ვაჟლე ოტიას კმ ბრიგოლაშვილები, ვარლან და ვარლან ტარაშის კმ შორაშორაშვილი სთხოვენ ნათესავთა და ნაცნობთ მობრძანდნენ და დაესწრონ ქ. ქუთაისში მთავარ-ანგელოზის ეკლესიაში 2 ნოემბერს ორმოცი დღის წირვისა და პანაშვიდის განსვენებულის

ფარნაოზ ოტიას-ძე გრიგოლაშვილის
სულის მოსახსენებლად. (1—1)

მთავრობის ნებართვით
სამს. ღვინობის თვიდან გაიხსნა

ახალი მათოთხმასა აფთიაქი
ზნოვიზორის ნიკოლოზ ივანეს ძის
გაზიეროვისა.
პეტის ქუჩა, სახლი № 26. (10—10)

წარმოდგენა 10. ტელეფონი 617

ქართული თეატრი
სუთვაბათს, 31 ოქტომბერს 1902 წ.
ქართულ დრამატულ დასის მიერ
წარმოდგენილი იქნება
არი ზეის

I
კელაგოგები
კომედია 3 მოქმ. ოტრო ერსტისა, თარგმ. დ. ნახუციანიშვილის მიერ.

II
ღ ა თ ვ ი
ვლდევ. 1 მოქმ. ჩეხოვისა.

მანაწილეობას იღებენ: ქ-ნნი: ნ. გაბუნია-ცაგარლისა, ნ. გამყრელიძისა, ალ. კარგარეთელი, ოლ. ლევაია, ნ. რონელი, როსტომიანი და სხვ.; ბ-ნნი: ვ. აბაშიძე, დ. აწყურელი, გ. ანანიაშვილი, ვ. გამყრელიძე, გ. გედევანოვი, ვ. გუნია, კ. მესხი, ს. სვიმონიძე, კ. შათირიშვილი, ჟღენტო, ლანდი და სხვ.

ადგილების ფასი: ლოკები 5 მანეთიდან 10 მანეთამდე, პარტები 70 კაპ-დან 3 მანეთამდე, აფეთქური 80 კაპ-დან 1 მ. 50 კაპ-დე, გაჯურეთა 25 კაპ-დან 45 კაპ-დე. შეკირდებისთვის ადგილები 60 კაპ.

დასაწვიის სადამო 8 საათზე
შხადდება წარმოსადგენად „მუშაკი და ნებიერი“, „ხალხის მტერი“, „დენიზა“.
რეჟისორი ვალ. გუნია.

კ ბ ი ლ ი ს მ ძ ი შ ი
ივანე ზავლეს ძე
ახალშენიშვილი
იღებს ყოველ-დღე კბილის სნეულებით ავადმყოფებს დილის 8—10 საათ. და 11—2-მდის, ხოლო საღამომით 5—7-დის. კვირა-უქმე-დღეებში 9—2-დის და საღამომით 5—7-დის.
ელისაბედის ქუჩა, № 33. (წლ.)

მ ძ ი შ ი
ალექსანდრე ვიორგის ძე
მედიკალი
(მხედავის ქუჩა, 30.—ტელეფონი 450).
იღებს ყოველ-დღე შინაგანისა და საგარეო სნეულებით ავადმყოფებს დილით 10—1 საათამდე და საღამომით 6—8-მდე.

მ ძ ი შ ი
ვ. ლამბაშიძე
იღებს შინაგან და საგარეო ავადმყოფებს დილის 10—11 საათამდე და საღამოს 6—7 საათამდე.
ბინა: ბარონის ქუჩა, № 22, დიდი ვანქის ქუჩის კუთხესთან. ტელეფონი 642.

მ ძ ი შ ი
ვ. ს. მუსხელიაშვილი
მიიღებს თვალის ავადმყოფებს დილით 12—2 ს. ყოველ დღე, გარდა სამშაბათისა. წყნეთის ქუჩა № 24 სახ. ვანაძისა. (წ).

კამკ. საიუზ. გამოფენის დროს ოქროს მადლით დაჯილდოებული ამხანაგობა
„ს რ კ მ ა“
გვიდის ხე-ხილის ხეებს თავის სანერგეებიდან. მსურველთ უნდა მიმართონ ლაგოდებში კ. თ. აფრიკიანს.
კატალოგები უსასყიდლოდ ეგზავნებათ მსურველთ.
(26—19)

მ ძ ი შ ი
დავით ალექსანდრეს ძე
გადავანიშვილი
იღებს შინაგანი, ნერვების სნეულებით და სწამლობს ელექტრონით საღამოს 5—6 საათამდე.
კირონი ქუჩა, სახლი მარტინოვისა, საზღვრული კრუეოკის პირდაპირ. (45—20)

ტ ფ ი ლ ი ს ი ს
გერძო სამკურნალო
ავადმყოფებისა.
ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე,
ღ ი ღ ი თ :
8. 0. **მ ი შ ი ნ ა შ ი**—კბილის სნეულებანი 8—10 საათამდე.
9. 0. **მ უ ლ ი ნ ი**. ურისა, ეგლისა და ცხვირის 9—10.
8. **დ. ლამბაშიძე**—შინაგანი 9—10 საათამდე.
8. **გ. მადლაშვილი**—შინაგანი 10—11 საათამდე, სამშაბათობით, სუთვაბათობით და შაბათობით.
0. 2. **ახალშენიშვილი**—კბილის სნეულებანი 10—11 საათამდე.
ლ. 0. **კამოვაში**.—სმარდეს (ხარკრეკი) ავადმყოფისათვის: სამშაბათობით, სუთვაბათობით და შაბათობით 10 საათიდან 11-მდის.
ბ. 8. **მელიქიშვილი**—შინაგანი და პეგეკისათვის 11—12 საათამდე.
დ. 2. **გადავანიშვილი**, შინაგანი, ნერვებისა და წამლებს ელექტრონით 12—1 ს.
8. 8. **მანაშატაშვილი**. შინაგანი, ნერვებისა და პეგეკისათვის: სამშაბათობით და შარსკეობით 1—2 გვირაობით 9—11.
ბ. 2. **ბარსუქიანი**—დედას სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და შარსკეობით 12—1 საათამდე.
ბ. 8. **ამბაკიანი**—სიფილისისა, კანისა და სმარდესი 1—2 საათამდე.
ბ. 8. **სოლომონიძე**—ხარკრეკისა და ორტოპედიკისათვის, ოთხშაბათობით და შარსკეობით 1—3 საათ.

ს ა ღ ა მ თ ა ი :
0. 5. **თუშანიშვილი**—დედას სნეულებანი 5—6 საათამდე.
ბ. 8. **მადლაშვილი**—შინაგანი, პეგეკისა და ეგეკისათვის 5—6 საათამდე. (მედიკალი-მედიკალი და პეგეკი-მედიკალი კამოვაში.)
სამკურნალოს აქვს სწრაფი ოთხსაბი.
ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები მორიგებით. კრაოტები—სამი მანათილად ხუთამდე.
ადრესი: ვუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი სვინაშვილისა, № 21. (ვუკიას ქუჩის დასაწყისში).
ტელეფონი № 274. (წლ.)

კიდევ სახალხო კითხვათა საზოგადოების გამო

ქვევით, ახალ ამბებში, მკითხველი იზოვის ცნობას სახალხო კითხვათა საზოგადოების დამფუძნებელთა კრების შესახებ. უნდა მართალი ვსთქვათ, ეს ამბავი მეტად ახირებულა: საიდუმლოდ თავი მოუყარა 12 დამფუძნებელს და 7 მოხელე აურჩევია, ესე იგი, დამფუძნებელთ თავის თავი აურჩევიათ საზოგადოების გამგებლებად. ვამბობთ „საიდუმლოდ“, რადგან არსად განცხადება არ წავგიკითხავს დამფუძნებელთა მოწვევისა და გამგეობის არჩევნების დანიშნის შესახებ.

არა გვგონია, რომ ასეთი საქციელი სამართლიანი იყოს კანონიერადაც და ზნეობრივადაც. არა გვგონია მით უმეტეს, რომ არ გვახსოვს, ასე მოქცეულიყოს რომელიმე საზოგადო საქველმოქმედო და განმანათლებელი საზოგადოება. ყოველ ამგვარ საზოგადოებას აზრად აქვს, რაც შეიძლება მეტი თანამგრძობელი და თანამშრომელი მოიპოვოს საზოგადოებაში, თავი მოუყაროს მათ, დაინტერესოს თავის საქმეში. ამიტომ, როდესაც ასეთი საზოგადოება არსდება, დამფუძნებელნი იწვევენ ყველა თანამგრძობთ და საზოგადოებაში მონაწილეობის მიღების მსურველთ, აცნობენ მათ წესდებას, სთხოვენ დახმარებას და ყველასთან ერთად აარსებენ ახალს ორგანიზაციას.

მაგალითისთვის შორს რომ არ წავიდეთ, ავიღოთ თუნდ ამას წინა დარსებული სტუდენტთა დამხმარებელი საზოგადოება. მიიღეს თუ არა დამფუძნებლებმა დამტკიცებული წესდება, მაშინვე გაზეთების შემწევობით თავი მოუყარეს ყველა მსურველთ, მათთან ერთად განიხადეს წესდება, მათთან ერთად განმარტეს წესდების ფორმული მუხლი და პოლიტ. მათთან ერთად აირჩიეს საზოგადოების გამგებნიც. არჩევნებში მონაწილეობა მიიღო ყველამ, ვინც სურვილი განაცხადა საზოგადოებაში ჩარიცხვისა და საწევრო გადასახადი წარადგინა.

ასე მოიქცა ახალი საზოგადოება და სხვა-რიგად არც უნდა მოქცეულიყო, რადგან მისი საგანი—თანამგრძობა და შეერთებული მოქმედება გამოიწვიოს კეთილ საქმის მოსაწყობად. საიდუმლოდ აქ არაფერია, პირიქით, ამგვარ საზოგადოებათა ინტერესი მოითხოვს—თავიდანვე მრავალი რიცხვი დაინტერესოს საქმეში. ზნეობრივისა და საზოგადოებრივ დახმარების გარდა, მოწვეულნი დიდ მატერიალურს შემწევობას უწევენ საზოგადოებას მით, რომ ახალ საქმისათვის თავდაპირველადვე ადგენენ საწევრო გადასახადთ კარგს თანხას.

თუ ასე მოიქცა სტუდენტთა დამხმარებელი საზოგადოება, მით უფრო არ უნდა დაერღვია ეს წესი კითხვათა გამართვებს საზოგადოებას. საქმე ის არის, რომ ნამდვილად ეს საზოგადოება კარგა ხანია არსებობს; მის მუშაობას ბევრი თანამგრძობი, ბევრი ადგენებს თვალ-ყურს; მის საზოგადო კრებებს ყოველ წლივ დიდი ხალხი ესწრებოდა; თუ არა ეს ცდებით, 100-ზედ მეტი წევრი უკვე ჰყავდა კომისიას. სხვათა მიწვევა თუ არ იხებეს დამფუძნებლებმა, კომისიის მრავალ წევრთ მაინც რაღას ეჩივებენ? თუ არ თანამგრძობასა და დახმარებას, სხვას რას მიიღებდნენ მათგან? იქნება დამფუძნებელთ იმის შიში ჰქონდათ, სხვათ, საქმეში არ ჩახედულთ და არ დაინტერესებულთ, არ ჩაეგდოთ ხელში საზოგადოების მართვა-გამგეობის საქმე. მაგრამ ეს შიშიც ხომ ტყუილია: განა კრებაზე იგივე საზოგადოება არ მივიდოდა, რომელიც რამდენიმე წელიწადია ერთ და იმავე პირთ ირჩევს საქმის გამგებლებად?

არა, არ გვესმის: დამფუძნებელთ რათ მოინდომეს ასე შინაურულად საქმის დაწყება და ორგანიზაციის შექმნა? ამას არც საქ-

მის ინტერესი მოითხოვდა, არც საზოგადოებისადმი ზნეობრივ მოვალეობის აღსრულება...

ჩვენ გვგონია, არც კანონი ავალბებდა დამფუძნებელთ ასე მოქცეულიყვენ. არსად წესდებაში ნათქვამი არ არის, რომ პირველს გამგეობას უთუოდ დამფუძნებელნი ირჩევენ! მე-13 §-ში პირდაპირ ნაჩვენებია, რომ **გამგეობას საზოგადოებრივად ირჩევს**. როგორ უნდა შესდგეს საზოგადო კრება ახალს საზოგადოებაში? ისე, როგორც ყველგანაა წესად მიღებული, ესე იგი: დამფუძნებელნი იწვევენ საზოგადოებაში მონაწილეობის მიღების მსურველთ, მათგან ვინც იკისრებს წევრობას და შესარულებს წესდებაში აღნიშნულს მოვალეობას, ის მაშინვე ირჩევა წევრად და ამრიგად მაშინვე სდგება კანონიერი საზოგადო კრება. ასე რომ არ იყოს, მაშ იმ საზოგადოების ორგანიზაცია ვერასოდეს ვერ შესდგება, რომლის დამფუძნებელი ორი ან სამი კაცია, გამგებელთა-კი ხუთი-ექვსი კაცია საქირო? გვეტყვიან, წესდებაში აღნიშნულია, რომ საზოგადოებრივად გამგეობა იწვევს და ამიტომ ჯერ გამგეობა უნდა იყოს შედგენილი. მაგრამ წესდების ამ მოთხოვნას პირველ საორგანიზაციო კრებასთან არავითარი კავშირი არა აქვს: პირველი კრება შესაძლებელია ან დამფუძნებლებმა მოიწვიონ ან და მათ მიერ არჩეულმა **დროებითმა** გამგეობამ. ეს უთუოდ ასე უნდა იყოს, სხვათა შორის, იმიტომაც, რომ შეუძლებელია ორიოდ კაცმა მთელი საზოგადოება აიძულოს და სამის წლის ვადით უთუოდ თავის თავი გაუჩინოს გამგებლად!..

ასე რომ, ჩვენის ფიქრით, კანონიც არ მოითხოვდა დამფუძნებელთაგან არჩევნების სიჭარბითა და შინაურულად მოხდენას; ხოლო ზნეობრივი უფლებანი კომისიის წინააღმდეგ წევრებისა და მთელის საზოგადოების წინააღმდეგ რომ დარღვეულია, ეს ცხადზე უცხადესია.

რათ იხებეს ეს დამფუძნებლებმა და კომისიის ახლანდელ ხელმძღვანელებმა? ანაირად, ჩვენა გვგონია, გუშინწინდელი არჩევნები უკანონო და უხერხულია და ვუარჩევთ დამფუძნებელთ გამგეობის ასარჩევად კრება მოახდინონ და საქმეს სათავეშივე წარმალური საფუძველი დაუდგან.

საზღვარ-გარედ
ინგლისი. ადგილი ნიუს-ის საპარლამენტო კორესპონდენტი იუწყება: ხმა დადის, ვითომ ირლანდიის საქმეთა მინისტრს უინდჰემს ბევრი არსებითი ცვლილება შეეტანოს ირლანდიის სადგომ-მამულთ კანონპროექტში. ამ ცვლილებით უინდჰემს იმათი მოთხოვნა შეუსრულებია, ვინც მამულის ძალდატანებით შესყიდვის მომხრენი არიან.

წარსულ შაბათს ინგლისსა და უელსში საქალაქო არჩევნები მოხდა. ლიბერალური პარტია დიდი ხანია ემზადება ამ არჩევნებისათვის, და გამარჯვების იმედიც ჰქონდა, რადგანაც სასკოლო ბილმა ძლიერ გაუტეხა სახელი მთავრობის პარტიას. არჩევნების დროსაც სულ სასკოლო ბილის თაობაზე ჰქონდათ ლაპარაკი. ლიბერალების იმედი თითქმის ასრულდა: საქალაქო არჩევნებში ლიბერალებმა, მუშების კანდიდატებმა და საზოგადოდ სასკოლო ბილის მოწინააღმდეგე პარტიებმა გაიმარჯვეს. არჩევნის დროს კონსერვატორებს სულ 117 ადგილი დაეკარგათ, ახალი ადგილი კი მარტო 55 შეიძინეს. სასკოლო ბილის მომხრეთაგან შექმნილ 117 ადგილიდან—85 ადგილი ლიბერალებს შეჰხვდათ, 26—მუშების კანდიდატებს, 4—„დამოუკიდებელ“ მუშებს და 2—სოციალისტებს.

ამავე დღეს ლონდონში ლიბერალებმა დიდი კრება მოახდინეს ალექსანდრეს სახა-

ლეში და სასკოლო ბილის პროტესტი გამო-
 უცხადეს. კრების დროს ოპოზიციის წინამ-
 ძლოლმა კომპლექს-ბანერმა და ლიბერალ-იმ-
 პერიალისტების მეთაურმა ასკიტმა ილაპარა-
 კეს. ორმავე ორატორმა სასტიკად გააჩაჩი-
 რეს სასკოლო ბილი და აღნიშნეს, რომ ამ კა-
 ნონ-პროექტმა დიდი უკმაყოფილება გამო-
 იწვია მთელს ინგლისში; ეს კარგი ნიშა-
 ნია ლიბერალურ პარტიისათვისაა. დასას-
 რულ კრებამ რეზოლიუცია დაადგინა და ბა-
 ლფურის სამინისტროს რეაქციონური პოლი-
 ტიკა და ნამეტნავად სასკოლო ბილი დაჰგმო.

მთავრობა სასკოლო ბილის განხილვის
 დასაჩქარებლად დეპუტატებს კამათს უკრძა-
 ლავს და ისე სასტიკად იქცევა, რომ მე-8
 მუხლისა და იმის თაობაზე შემოტანილ მრავ-
 ლ წინადადებებს განხილვა გაათავა კიდევ.
 მთავრობის ქვეყნის მთელი გააბორბლა ოპო-
 ჰიზია; პროტესტის ნიშნად ბევრი ლიბერალ-
 დეპუტატი პალატაში აღარ დადის. „სტუ-
 დენტ-ს“ შეუტყვიან, ადგილობრივ ლიბერ-
 ალურ ასსოციაციებს არ მოეწონათ თავი-
 ანთ დეპუტატების ქცევა და განზრახვა აქეთ
 იმ დეპუტატებს, რომლებიც პალატაში აღარ
 დაიარებიან, პასუხი მოსთხოვონ.

ირლანდიელებიც აღარ დადიან პალატაში,
 თუმცა ბევრი მათგანი ლონდონში დარჩა.
 ხმა დადის, ირლანდიელები ჯონ რედმონ-
 დის ამერიკიდან დაბრუნებას ელიანო; რო-
 ცა მეთაური ჩამოუვით, პარტიის კრებას მო-
 ახდენენ და გადასწყვეტენ, რა ტაქტიკას და-
 დგენენ მომავალში.

„გოლფის სააგენტო“ იუწყება, ირლან-
 დიელი დეპუტატი ვილიამ რედმონდი (ჯონ
 რედმონდის უმცროსი ძმა) კინგსტონში—
 ირლანდიაში—დაატუსაღეს იმ დროს, რო-
 ცა გემიდან გადმოდიოდა, და კალმენგამის
 ციხეში წაიყვანეს. ამას წინად რედმონდს
 კრებაზე საჯაროდ მებატონეების წინააღმდეგ
 ელაპარაკნა. ამ საქმეზე რედმონდი სამარ-
 თალში მისცეს. სასამართლომ რედმონდს
 თავდები მოსთხოვა იმისი, რომ ამას იქით
 კარგად მოიქცევიო და თუ თავდებს ვერ
 წარადგენდა, 6 თვით ციხეში უნდა ჩამჯა-
 რიყო. რედმონდს კანონიერ ვადაზე თავდე-
 ბი ვერ წარუდგენია, ამიტომ ეხლა ციხეში
 უნდა ჩაჯდეს.

საზარბაგითი. ამ დღეებში დეპუტატთა
 პალატაში ნაციონალისტ დეპუტატს გრაფს
 დე-ლიონს და სოციალისტს ეერო რიშარს
 შეტაკება მოსვლიათ. საქმე ასე ყოფილა.
 ვახეთ „გოლფა“-ს თანამშრომელს უჩიარს
 გასტონ პოლონეს კათოლიკობა რომ მიუ-
 ღია, სიტყვა წარმოუთქვამს მთავრობისა, რა-
 დიკალ-სოციალისტებისა და ურების წინაა-
 ლმდე. ამაზე ეერო-რიშარს პოლონე სასა-
 ცილოდ აუგდია თავის ვახეთში. ნაციონა-
 ლისტ დეპუტატს გრაფ დე-ლიონს ჯავრი
 მოსვლია ეერო-რიშარზე და პალატის კარი-
 დორში შეხვედრის დროს ეერო-რიშარისათ-
 ვის ხელთათმანი გადუგდია. ეერო-რიშარს

ფეხით იქით გადუსროლია ხელთათმანი. დე-
 ლიონი უარესად გაცეცხლებულა, სოცია-
 ლისტ-დეპუტატისათვის ხეკუნდანი გაუგზა-
 ვნია და დუელში გამოუწვევია.

წარსულ პარსკეეს არასა მოდნის მუ-
 შების დღეგატებს და დეპარტამენტ პა-დე-
 კალეს მდნის მრეწველ ამხანაგობათა წარ-
 მომადგენლებს მოლაპარაკება ჰქონიათ გა-
 მართული. მუშების დღეგატს დეპუტატს
 ბასლის აქსნა, რომ მუშებს ხუთი მოთხოვ-
 ნა აქეთა: 1) სამუშაო ქირის მომატება; 2)
 მუშებს უფლება მიეცეს სამუშაო ქირას
 კანტროლი გაუწიონ; 3) მინიმალური ქირა
 დაწესდეს; 4) დაწესებულზე მეტი მუშაობა
 აიკრძალოს; 5) მრეწველებმა პირობა უნდა
 დასდონ, რომ მუშები ვაფიცვაში მონაწი-
 ლეობისათვის არ დაითხოვონ. სანამ ამ მო-
 თხოვნების განხილვა დაიწყებოდა, ბასლიმ
 წინადადება მისცა მრეწველობის ამხანაგო-
 ბათა წარმომადგენლებს, ვადაქრით სთქვიო,
 რა აზრისა ხართ სამედიატორო სასამართ-
 ლოზედაო; მრეწველობის წარმომადგენლებმა
 უპასუხეს: პრინციპიალურად თანახმანი ვართ.
 სადავო საქმის გადაწყვეტა სამედიატორო
 სასამართლოს მივანდოთო. ამის შემდეგ მო-
 ლაპარაკება დაიწყო. ვაფიცვაში მონაწილე-
 ბისათვის მუშების დათხოვნაზე ამხანაგო-
 ბების წარმომადგენლებმა სთქვეს, ისე მოვი-
 ქცეთ, როგორც კვლავ მოვქცეულვართო
 და ვისაც პატივსაღები მიზეზი ექნება რამე,
 აღარ გამოვეკიდებთო. დაწესებულზე მეტს
 მუშაობაზე სთქვეს, დიდის ვალით მუშაობა
 ამას იქით სავალდებულო აღარ იქნება და
 ამისთანა სამუშაო წინა დღითვე ცალკე აფი-
 შით იქმნება გამოცხადებულიო. სამუშაო ქი-
 რის კონტროლის თაობაზე დაადგინეს, საე-
 რთოდ ვიშუამდგომლოთ მდნების უფროსე-
 ბთან, რომ ამისთანა კონტროლის დასაწესე-
 ბლად საჭირო სტატისტიკური ცნობები,
 რაც შეიძლება, ხშირად და რიგზე გამოაც-
 ხადონ ხოლმე. მინიმალური ქირაზე ამხანაგო-
 ბათა წარმომადგენლებმა არც კი დაიწყეს
 ლაპარაკი, მხოლოდ ის გამოაცხადეს, რომ
 ამისთანა ქირის დაწესება მთლად აურ-დაუ-
 რეეს მდნის მრეწველობასაო. სამუშაო ქი-
 რის მომატებას რაც შეეხება, ამხანაგობათა
 წარმომადგენლები ციფირებით ამტკიცებდ-
 ნენ, ამ ეამად ქვა-ნახშირი ისეთ ფასში იყო-
 დება, რომ სამუშაო ქირის მომატება ყოფ-
 ლად შეუძლებელიაო. თუმცა მუშების დე-
 ლეგატები ძლიერ ეცადნენ, მაგრამ ამხანა-
 გობათა წარმომადგენლებს ვერაფერი ვერ
 დაათმობინეს. წარმომადგენლები მხოლოდ
 იმაზე დასთანხმდნენ, რომ საქმე სამედიატო-
 რო სასამართლოს გადასცეთ გადასაწყვეტა-
 დაო. ამის შემდეგ წარმომადგენლებმა სთქვეს:
 იმის დასამტკიცებლად, რომ მშვიდობიანო-
 ბა გვწადიან, ჩვენ ვაცხადებთ: თუ სამუშაო
 ქირის თაობაზე ეხლავ მორიგება ჩამოვარდე-
 ბა, ჩვენც სამაგიეროს გადაუხდით მუშებს—
 თუ მუშები სამუშაო ქირის მომატებაზე ხელს

აიღებენ, ჩვენც პენსიებს მოუმატებთ მუ-
 შებს. მუშების დღეგატებმა სთქვეს, ეგ კა-
 რგი საქმეა, მაგრამ ქირის მომატების მოთ-
 ხოვნაზე შინც ხელს ვერ ავიღებთო; ისევე
 სჯობია, საქმე სამედიატორო სასამართლოს
 გადასცეთ გადასაწყვეტადო.
 ამ ნაირად მუშების დღეგატები და ქვა-ნა-
 ხშირის მრეწველ ამხანაგობათა წარმომადგე-
 ნლები ვერ შეთანხმდნენ. მუშების დღეგე-
 ტებმა საზოგადო სამუშაოთა მინისტრს ამნა-
 ირი დებუმა გაუგზავნეს: „მდნის მუშების
 სინდიკატის აღმინისტრაციული საბჭო გთხოვთ
 მედიატორე დაწინაშაოთ“.

მეორე დღეს ქლაქ ლილში ჩრდილოეთ
 დეპარტამენტის მუშებსა და მდნის მრეწველ-
 ამხანაგობათა წარმომადგენლებსაც ჰქონდათ
 მოლაპარაკება. მოლაპარაკება დაახლოვებით
 აქაც ისე დასრულდა, როგორც პა-დე-კალე-
 ში. ამხანაგობათა წარმომადგენლები პრინ-
 ციპიალურად დასთანხმდნენ სამედიატორო
 სასამართლოს დანიშვნას, მაგრამ მინიმალურ
 ქირის დაწესებაზე-კი ვადაქრით უარი სთქვეს.

ახალი ამბავი

გუშინ-წინ, 29 ოქტომბერს, კრება
 ჰქონდათ „ტფილისსა და ტფილისის გუბერ-
 ნიაში სასაზღვო კონსტაბლთა გამმართველ სა-
 ზოგადოების“ დამფუძნებელთ. კრებაზე, რო-
 მელსაც 12 კაცი დაესწრო, არჩეულ იქმნენ:
 გამგეობის თავმჯდომარედ—ქ. ხუდადოვი,
 თავმჯდომარის ამხანაგად—ი. ივ. პლაშენცეს-
 კი, ხაზინდარად—ა. ლ. კოზლოვი, მდივ-
 ნად—ქ. ნ. ტხომიროვისა, გამგეობის წევ-
 რებად—ქ. ნ. შტეინისა, ვასილიევისა და ჩა-
 ლენკოვისა. გამგეობის წევრების კანდიდა-
 ტები და სარეგისტრო კომისიის წევრები უნ-
 და აირჩიოს საზოგადო კრებამ, რომელიც
 მოკლე ხანში იქნება მოწვეული.

ხვალ, 1-ლ ნოემბერს, საღამოს 8 საათ-
 ზე, კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგა-
 დოების სადგომში დანიშნულია კავკასიის
 სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების წევრთა
 კრება, რომელმაც უნდა განიხილოს: 1) კო-
 მისიის დასკვნა ს. ნ. ტომოფეევის მოხსენე-
 ბის შესახებ სამეურნეო სწავლის ვაგრელებ-
 ბის გამო; 2) გ. დ. ჟურულის მოხსენება
 „ვეროპაში კოლპეარაციების განვითარების შე-
 სახებ“ და 3) თავ. ჯანდიერის მოხსენება
 „ადგილ-მამულის დაცვის შესახებ“. კრებაზე
 ვარეზე პირთაც შეუძლიათ დასწრება.

29 ოქტომბერს პეტერბურგიდან ცფო-
 ლის დაპრუნდა ამიერ-კავკასიის რკინის გზა-
 თა უფროსი ბ-ნი ივანოვიკი.

დღეს, 31 ოქტომბერს, ბალაჯარას
 უნდა ჩავიდეს ვაითა მინისტრის ამხანაგი
 ბ-ნი მისოვლოვ-ივანოვი, რომელიც ტფი-
 ლისში ამოვა და შემდეგ ყარს წავა ერევნის
 რკინის გზაზე.

29 ოქტომბერს ტფილისიდან წავიდა
 კომისია ამშენებელთაგან ერევნის რკინის

გზის ჩასაპარუნდა. კომისიაში არიან რკი-
 ნის გზათა მთავარი ინჰექტორი ბ-ნი კეტ-
 რიკი, ამიერ-კავკასიის რკინის გზის უფრო-
 სის თანამშემწე ბ-ნი შაიკევიჩი და სხვანი.

ამას წინად კავკასიის სამხედრო საავად-
 მყოფოს უფროსმა სოხოვა ტფილისის გუბერ-
 ნატორს დახმარება გაეწია, რომ ქლაქის
 გამგეობას სამხედრო სასაფლაოსათვის ერთი
 ნაჭერი ადგილი დაეთმო, რადგან ძველ სა-
 საფლაოზე თავისუფალი ადგილი აღარ მოი-
 პოება. ამის გამო გუშინ ტფილისის გუბერ-
 ნატორმა მოსთხოვა ქლაქის გამგეობას და-
 წვრილებითი ცნობები ამ საქმის შესახებ.

მკითხველებმა უკვე იციან, რომ კავ-
 კასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების
 საბჭომ სოხოვა ერევნის გუბერნატორს, ეც-
 ნობებინა ამ გუბერნიის რომელ ქლაქში
 შეიძლება გაიმართოს მეურნეთა საზოგადო
 კრებები სოფლის მეურნეობის საპროგნათა
 გამოსარკვევად. გუშინ საზოგადოების საბჭომ
 ერევნის გუბერნატორმა აცნობა, რომ ერევ-
 ნის გუბერნიაში ძალიან ნაკლებად არიან
 ისეთი მეურნენი, რომელნიც დამოუკიდებელ
 და ნაციონალურ მეურნეობას მისდევნო-
 ვინც კია ისეთი, რომელთაც შეუძლიათ თ
 რიმიე აზრი გამოსთქვან სოფლის მეურნეო-
 ბის საპროგნათა შესახებ, ყველანი მიწვეუ-
 ლნი არიან საგუბერნეო კომიტეტში და ამი-
 ტომ საჭიროდ არა ვსცნობ, ერევნის გუბერ-
 ნიაში ადგილობრივ მეურნეთა კრებები ვაი-
 მართოსო.

სამშაბათს, 29 ოქტომბერს, სხდომა
 ჰქონდა იმ კომისიას, რომელსაც მინდობი-
 ლი აქვს საფლოდავის ვარას ქვემ ცუნედიის
 ვაზაფან პირობის შემუშავება. სხვათა შო-
 რის, წაკითხულ იქნა ბრაილოვისკის და ხა-
 ტისოვის მიერ წარდგენილი საკონდიციო
 პირობის პროექტი. ისინი თხოულობენ, ტუ-
 ნელში ქვეითა მოსიარულეს გადახდეს 2 კ-
 ხოლო ეტლს 5 კ. კომისიის წევრთა შორის
 ამან ხანგრძლივი კამათი გამოიწვია. წევრთა
 აზრით ქვეითებს სრულებით არაფერი არ უნ-
 და გადახდეთ. რადგანაც კომისია ვერავითარს
 გამორკვეულს გადაწყვეტილებას ვერ დაადგა,
 მეორე კრება მოხდება საბოლოოდ ხელ-შე-
 კრულობის შესამუშავებლად.

ამას წინად მიწათ-მოქმედების დეპარ-
 ტამენტმა გამოუგზავნა კავკასიის სასოფლო-
 სამეურნეო საზოგადოებას განსახილველი
 პროექტი იმ სავალდებულო დადგენილება-
 თა, რომელიც მეთევზეობას შეეხება. გუშინ,
 30 ოქტომბერს, აღნიშნულ პროექტის გამო
 საბჭოს უკვე გაუგზავნია ორი მოხსენება—
 ი. ნათაძისა და მ. ი. დოლოხანოვისა და
 აგრეთვე მოსაზრებანი სამეურნეო საზოგა-
 დოებისა. საზოგადოების საბჭო სწერს, რომ
 დეპარტამენტის მიერ შემუშავებულ წესდე-
 ბას დიდი მნიშვნელობა ექმნება თევზის ქე-
 რის მოსაწესრიგებლად, თუ იგი შესამუშე-
 ლი იქმნება ადგილობრივ პირობებთან.
 აღმოსავლეთ კავკასიაში, სწერს შემდეგ საბ-

ფელეტონი

შვიტარის სოფალი

(მგზავრის შენიშვნები)

ხუთ-ექვს თვის განმავლობაში პატარა შვე-
 იცარია ზამთრის სუდარაშია გახვეული;
 სდუმს აქაური ცხოვრება, მისი ძარღვი თი-
 თქმის არა სცემს. ღრმა ძილის შემდეგ გა-
 ხაფხულზე ბუნება თვალებს მოიფენვენტს
 თუ არა, შვეიცარიის ცხოვრებაც იღვიძებს.
 მთასა, ბარს, ტბებს, ქლაქებს და სოფლებს
 მთელის მიღეთის ხალხი მოედება. მოდიან
 აქაურის წმინდა ჰაერისთვის, მოდიან აქაურს
 თოვლიან მთებზე ასასვლელად, აქაურს ტბებ-
 ზე სასიერათ; მოდიან საზოგადოდ აქაუ-
 რის მშვენიერის ბუნების საქვერტად ინგ-
 ლისელნი, ამერიკელნი, ფრანგნი და სხვ-
 და სხვ. მართალია, მეტად მიზიდველია
 აქაური ბუნება, მაგრამ თვით აქაური მკვიდ-
 რიც მხნეობს. მომსვლელს გაუადვილოს აქ
 მოგზაურობა და მისთვის დაუვიწყარ და
 სიამით მოსაგონარ ჰყოს აქ გატარებული
 დრო. რაც გამოუგონია აქამდე ადამიანის
 გონებას, ყველაფერი პრაქტიკულად გან-
 ხორციელებულია ამ ერთ კიქნა ქვეყანაში.
 ცილობა მთებზე რკინის გზებზე აყვანილი,
 ზედვე გამართულია სასტუმროები მგზავრთა-
 თვის, ყველაგან—ელექტრონი, ტელეგრაფი,
 ტელეფონი, ტბებზე შეუწყვეტელი სიარუ-

ლი ორთქლმავალი გემებისა, ვაკეზე მთელი
 ქვეყანა გარდი-გარდმო რკინის გზის ლიან-
 დავით დასერილია.

მაგრამ ეს საშთხისებური კუთხე უფრო
 იმითია საყურადღებო, რომ მისის მშვენიერის
 ხილვა, მისის ჰაერის სუნთქვა მარტო შეძ-
 ლებულია პრივილეგიის არ შედგენს. მდი-
 რებთან ერთად, რომელნიც თავის სიამოვ-
 ნებისათვის თვეში ორასობით და სამასობით
 ხარჯდენ, შეხვდებით მოსწავლე ახალგაზ-
 დობას (მომეტებულიად რუსებს), ორ-სამის
 თვით მოსულს მეტად მწირის საგზლით.
 ის კი არა, ზოგი ამ მოსწავლე ახალგაზდა-
 თაგანი შვეიცარიაში იმიტომ მიდის, რომ
 უფრო იაფად დაისვას ცხვრება. და, რა
 თქმა უნდა, ვინც ამ აზრით მოდის აქეთკენ,
 არ შეუძლია გამოუდგეს ყველა იმ სიამოვ-
 ნებას, რაცა აქ მხოლოდ მდიდართათვის
 არის ხელმისაწვდომი. ქლაქები, დებები, მა-
 ლალ მთებზე გამართული მდიდრული სას-
 ტუმროები ამ შემთხვევაში მხოლოდ შეძლე-
 ბულთათვის არის მორთულ-მოწყობილი.
 ხელმოკლეთ კი შვეიცარიის სოფლებში უნდა
 ექებონ თავშესაფარი.

ამ ზაფხულს შვეიცარიის ერთ ამგვარ
 სოფელში ოთხ მეგობარ ქართველთან ერ-
 თად მეც მომიხდა ათიოდ დღით დარჩენა.
 დიდათ ვისიამოვნეთ აქ ყოფნით. შედარე-
 ბით მცირე სასყიდლით დრო ჩინებულიად
 გავატარეთ. ვითვალისწინებდით ჩვენებუ-
 რებს, საზაფხულოდ ბორჯომს, აბასთუმანს

და სხვა საავარაკოდ ვასულებს; ვითვალის-
 წინებდით, შედარებით, დიდ ხარჯთან იმ
 კნინს სიამოვნებას და დასვენებას, რომელ-
 საც ისინი ამ ადგილებში ჰპოვებდნენ, და
 გვერვობდით,—რატომ აქეთკენ არ მოდიან,
 რომ ქვეყანაც ნახონ, სულით და ხორციით
 დაისვენონ და თან იმდენიც არ დაეხარჯოთ,
 რამდენიც ჩვენებურს საავარაკო ადგილებში
 ეხარჯებთ! ვიცი ჩვენებური მკითხველი
 ამის გავგონებაზე ჩაიციენბს... და ამ ჩაი-
 ნების საბუთად, უტყველია, ყოველთ უწი-
 ნარეს წამოაყენებს გზის ხარჯის სიდიადეს,
 იმ მანძილს, რომელიც ჩვენს სამშობლოს
 შვეიცარიაზე შორავს, და ენის უცოდინა-
 რომბას.

ვეცდებით დავუმტკიცოთ მკითხველს,
 რომ, საცა სურვილი იქნება, სამივე დაბრ-
 კოლება ადვილად საძლევია განსაკუთრებით
 იმათთვის, ვინც ბორჯომსა ან აბასთუმანში
 თვენახევარში ან ორ თვეს ოცისა და ოცდა
 ათის თუმნის ნაკლებ ვერ გამოუსულან.
 მაგრამ სანამ ამ პრაქტიკულ ცნობებს მივა-
 წოდებდეთ იმავე მკითხველს, გავაცნობთ
 მოკლედ აქაურს სოფელს, აქაურის ცხოვ-
 რების პირობებს.

რადგან აქაური სოფლები ყველანი თით-
 ქმის ერთმანეთს ემსგავსებიან, დიდი შეც-
 დომა არ მოგვივა, თუ ნიშუად ავიღებთ
 იმ სოფელს, სადაც ჩვენი დროებითი კო-
 ლონია სცხოვრობდა.

სოფელი ლატერბახი, რომლის სტუმრები
 ჩვენ ვიყავით, ბერნის კანტონშია, მდინარე
 ზიმენის ხეობაში. ამ მდინარის გამო დაერ-
 ქვა ხეობას ზიმენტალი, ანუ ზიმენტალის
 ხეობები. წარმოიღვინეთ, ჩვენებური მთის
 ხეობები (რაქსა ან კიდევ აქარაში), რო-
 მელთაც აქაფებული მთის მდინარენი ჩამო-
 უდისთ, მათის ნაძვარით დაფარულ გვერ-
 დებით, რომელთაც მალლიდან ამაყად თავს
 დასტკერიან სალი კლდეები, და გაერთვა-
 ლისწინდებთ ეს ხეობაც. იგივე მომხიზველე-
 ლი სურათები, ადამიანის თვალს რომ
 ატყვევებს, იგივე სიდიადე ბუნებისა... მაგრამ
 ეს საზოგადო სურათი იქნება. განსხვავება
 ჩვენებურსა და აქაურს ხეობათა შორის ის
 ვახლავთ, რომ იმ დროს, როცა ჩვენებუ-
 რის ხეობების ხილვა მგზავრისათვის თუ სა-
 ხიფათო არა, მეტად ვასაქირი მანც არის,
 აქაური ხეობა საცევა გზიტკეცილებით, შუ-
 აში გაუდის რკინის გზა, ყოველ სოფელ-
 შია ფოსტა, ტელეგრაფი, სკოლა, სასტუმ-
 რო. მთელი აქაურების ნამოქმედარი უცხო-
 ელს იმას უმტკიცებს, რომ ბუნების სიმშვე-
 ნიერე ადამიანისათვის არის გაჩენილი და ამ
 ადამიანმაც თავის მხრით უნდა იმაცადინოს
 მისაწვდომი გაიხადოს ეს სიმშვენიერე, თავის
 სასარგებლოდ გამოიყენოს.

საზაფხულო ქლაქ შპიცლიდან სოფ. ლა-
 ტერბახამდე მატარებელი ერთს საათს უნდა
 ბა. ეს დრო ისე შეუმჩვევლად გაიბრუნს,
 რომ მგზავრს ეგონება გზის ერთი წუთი

ქო, სადაც განსაკუთრებით უფრო გავრცელებულია მეთევზეობა, მრეწველებს მუშებარდ ჰყავთ მამალიანები, რომელთათვისაც კვირა-უქმეებსა და საღმრთალო დღეებში მუშაობა აღკრძალული არ არის, ხოლო პროექტის მეხუთე მუხლი, რომლის ძალითაც უნდა აიკრძალოს თებზის ქერა უქმეებში, ძალიან უხერხულს მდგომარეობაში ჩააგდებს მრეწველებს, ამიტომ უკეთესი იქნება ეს მუხლი სრულიად გამოირიცხოს პროექტიდან.

«ტიფლისი ლისტოკის» გუშინდელ ნომრის ახალ ამბებში დაბეჭდილია «ქართველ ამხანაგობის» სტამბის შესახებ ისეთი ამბავი, რომლის სიყალბე ყველასათვის ცხადია, მაგრამ ამ გაზეთმა სინამდვილე არ იჩვენა და გუშინდელ შენიშვნას ადგილი მიიღო მისი.

გაზეთი ჰქვამდა, რომ «ამხანაგობის» სტამბა ტენიკოსთა კომისიამ დაათვალიერა და აქაურ ელექტრონის სადგურზე იმდენი უწყისობა აღმოაჩინა, რომ საჭიროდ სცნო სტამბის მოქმედების შეჩერება. ნამდვილად კი საქმე ასე იყო: ამ ორისთვის წინადაც კომისიამ მართლა დაათვალიერა «ამხანაგობის» სტამბის ელექტრონის სადგური, ზოგი რამ ნაკლი შეინიშნა, მაგრამ ეს ნაკლი იმ ხანებშივე შესწორებული იყო, ასე რომ სტამბის მოქმედება ერთ წუთსაც არ შეჩერებულა. ამას ამტკიცებს, სხვათა შორის, ის გარემოებაც, რომ «ამხანაგობის» სტამბაში, ჩვენი გაზეთის გარდა, ეხლა ორი ყოველდღიური გაზეთიც იბეჭდება.

ახლად **გარშა გაფანაილა** ექიმების მიერ გასინჯვა ჯერ კიდევ არ დასრულებულა. სულ გასაყვანია 176 კაცი, გასინჯეს და გაიყვანეს 171, კიდევ დარჩათ გასაყვანად 5 კაცი. აღსანიშნავია ერთი გარემოება. სამხედრო საკრებულოს ექიმები ბბ-ნი მრევლოვად და ლევა ბევრს ჰგზავნიან ჰოსპიტალში შესამოწმებლად. წლებადღეს გამოწვეულთა რიცხვიდან 108 კაცი გაგზავნეს ამ ექიმებმა ჰოსპიტალში შესამოწმებლად; ჰოსპიტალსაც ნახევარზე მეტი ამათგანი სამსახურისათვის სრულგებთ უვარგისად უცვნია, ზოგი კი დაუტოვებია გამოსაცდელად. უვარგისად უცვნიათ ისეთი, რომელსაც საშარდ ბუშტის ავადმყოფობა აღმოუჩინეს, ცალ თვალზე ბრმა და სხვ. ერთიც ისეთი აღმოჩნდა, რომ სიქლერქე უკიდურეს მდგომარეობამდე გავრცელებია და, რა თქმა უნდა, ჰოსპიტალს იმ წამსვე გაუნთავისუფლებია.

ჯივანშირის მახარაში ამ ბოლოს დროს **ნავარდობა დაუწვია** მკვლევლობისათვის გაციმბირებულს ასლან-ბეკ რუსტან-ბეკ-ოლის, რომელიც ამ რამდენისამე ხნის წინად ციმბირიდან გამოქცეულა. პოლიცია დასდევნებია ასლან-ბეკს, ერთ ადგილას მიუსწრია, მაგრამ პოლიციას არ დაჰნებებია. სროლა დაუწყიათ და ასლან-ბეკი მოუკლავს პოლიციის დარაჯების ტყვიას.

მ ნოემბრისათვის დანიშნულია **გრემა** ტფილისის ტენიკოსთა საზოგადოებისა. კრება მოხდება ნაშუადღევს 1 საათზე, ქსენიას ქუჩაზე № 3.

გუშინ **ქართველთა ამხანაგობის** სტამბა დაათვალიერეს ტფილისის ქალთა 1-ლ გიმნაზიის უფროსს კლასების მოსწავლეთ. 60 მოსწავლე ორ ჯგუფად მოვიდა და დაწვრილებით დაათვალიერეს «ამხანაგობის» მთელი დაწესებულება: ასოთ-ამწყობთა განყოფილება, საბეჭდავი, ასოების ჩამოსახმელი, წიგნების ასაკინძი განყოფილება და ცინკოგრაფია. მოსწავლენი მეტად დაკვირვებით ათვალიერებდნენ ყველაფერს და ისმენდნენ საბეჭდავი საქმის ვითარებას, რომელსაც უხსნიდა ერთ-ერთი ამ საქმის მკოდნე კაცი.

პოლიციების დარაჯებია ბოქალელებისათვის, ქალაქის ტენიკოსებთან ერთად ყველა **მოსახლის წინ ქვა-ფენილი** დაათვალიერეთ და, სადაც უვარგისობა შეინიშნათ, აგრეთვე თუ ქვა-ფენილი სულ დაგებული არ აღმოჩნდეს—ოქმები შეადგინეთ და სასამართლოს წარუდგინეთ. სასამართლოს სთხოვეთ დაადგინოს: თუ სახლის პატრონი დანიშნულ დროზე ქვა-ფენილს არ დააგებს, იმის ხარჯით პოლიციამ გააქვოს გასაკეთებელი.

კავკასიის სააბრეშუმო სადგურმა, რათა შეაბრეშუმებდნენ დროზე მიწოდოს ცნობები **შეპარეშუმებთა ნაწარმოების ფასების** შესახებ, საკუთარი კორესპონდენტი გაიჩინა მარსელში, რომელიც ყოველ-დღე დაეხმება აცნობებს ბაზრის მდგომარეობას. 25 და 26 ოქტომბრის დღეებშიდანაა ჩანს, რომ ერთი კილო (ორ-გირვანქა ნახევარი) ხმელი პარკი ქუთაისის გუბერნიისა მარსელში ჰლირს 9 ფრანკ და 60 სანტიმიდან 9 ფრანკ და 75 სანტიმამდე, ე. ი. ფუთი 58 მან. და 37 კაბ. 59 მან. და 27 კაბეკამდე.

ქალაქის გამგეობას შეუღუშავებია იმისი პროექტი, თუ რა წესით უნდა იქმნეს ქალაქში **საფრანკონო საჯაროები** ნება-დართული. გუშინ გამგეობამ, სასანიტარო ინსპექტორმა, ქალაქის სავაქრო-პოლიციის უფროსმა ზედამხედველმა და პოლიციების ტერმა განიხილეს ეს პროექტი და დაადგინეს. ჯერ-ჯერობით მივანდოთ სასანიტარო ინსპექტორს სანიტარულის მხრით გადასინჯოს ეს პროექტი და რაც საჭიროდ სცნოს, შეიტანოს ამ პროექტში.

ქალაქს დიდი ხანია მსურს **შემოსავლის საქმე გააწესონ**, მაგრამ ვერ მოუხერხებია. სავალდებულო დადგენილებანიც უნდადა ამის შესახებ გამოეცა და ამ საქმის ვითარების გამოსაკვლევად ცნობების შეკრება დაავალა სამეურნეო ვაქრობის უფროს ზედამხედველად ნამყოფს, რომელმაც გამგეობას გამოუცხადა, რომ საქალაქო დებულებაში შემოსის შესახებ არა სწერია-რა და, მგონია,

მოკუნდია: ყოველი კუთხე ისე მომხიბვლელია, რომ არ იცით, თვალი რაზე გაჩეროთ. სადგურთან მოვლილ ადგილზე გამართულია რამდენიმე სასტუმრო შესანიშნავის სისუფთავისა, რამდენიმევე სახლებია გლეხებისა და იქიდან გზატკეცილს აყვებართ აღმართზე, სადაც გზის გარდვიარდმო ერთ-მანერთზე მოშორებით ხის ორსართულიანი სახლები გადმომდგარა სოფელთა. ყველას თავთავის ეზო აქვს, ხეხილით სავსე. სახლის წინ უქვევლად ყვავილნარია გამართული და გვერდითვე ერთ მტკაველ მიწაზე ყოველგვარი ბოსტნეულობა აღმოუცენებიათ. ყოველივე სუფთად, სიმეტრიულად. ერთ-ბეწო დაუდევრობას, ალუფუზლობას ვერაფერს შეამჩნევთ. სახლს უკან შემოღობილივე საძოვარი აქვს მთის აყოლებასზე. მთის წყარო, ბროლივით სვეტაკი და ყინულივით ცივი, ყოველს ეზოშია გამოყვანილი, რაიცა ხელს უწყობს კარმიდამოს სუფთად შენახვას. ერთი რამ არ უხდება აქაურის გლეხის იდეალურ სისუფთავის ეზოს: სწორედ სახლის გვერდით დაზვიანებული უსუფთაობა, ბოსლებიდან გამოტანილი. მისი სუნი უცხო კაცს ყოველს სიამოვნებას უშამავს. მაგრამ აქაურისათვის ეს ზინი აუცილებელ საჭიროებას შეადგენს. იცის შევიცარიელმა გლეხმა, რომ დედა-მიწა მას ჰკვებავს, დედობას უწევს, მაგრამ ისიც იცის, რომ დაუხალავი არაფერი არის, თვით მიწაც, და სცილობს, თუ კი მიწა დედობას უწევს,

იმან ნამდვილი შვილობა გაუწიოს: ქირანხულს აიღებს თუ არა, სახლის გვერდით წლობით დაზვიანებული და გადამწვარი ფენი მოხვნამდე მიწას მოაყაროს, რომ ამ უკანასკნელმა დაკარგული ძალა ისევ დაიბრუნოს და ამნარად მხენელ-მთესველს ყოველ წელიწადს მოუცდნოდ მისცეს ნაყოფი თავის შრომისა. ჩვენებურს მხენელ-მთესველს, თუცა ჯერ მაგდენად არა სჭირია მიწის გაპატრება, ეს ამბავი საიმისოდ არ გაუკვირდება და, როცა თვითონ ძალა დაადგება, არც ითაკლებს ამ ნაირ საშუალებას მიმართოს. მაგრამ წარმომიდგენია მისი გაოცება, როცა გაიგონებს, რომ იგივე შევიცარიელი არამც თუ საქონლის ფენის იყენებს საქმისათვის, არამედ, —თქვენთან პატრივი, მკითხველო, —ადამიანის განავალსაც არა ჰკარგავს. აქაურს სახლს უფების-ადგილოდ ვერა ნახავთ, როგორც ჩვენებურს სოფელში. მაგრად შეკრულ ყუთებს ქვეშ თვლები აქვს და აივება თუ არა, აქაური დიასახლისი სრულგებთ წარბ-შეუხრებლად გამოავარებს და თავის ბოსტანს ასეთის პატრივით ასუქებს. კიდევ იმიტომაც, რომ აქაური ბოსტანი მტრის თვალს არ ენახება. როგორც მოგვხსენებთ, ადამიანის პატრივი მიწის გასასუქებლად უზადლოა. ბოდიშ ვინძი მკითხველთან, რომ ასეთს პროზაულ რაზედმე ჩამოვუდგედ ლაპარაკი, მაგრამ გვერდის ავლა ვერ შევიძლებით, —იქნება სულ გამოუსადეგარიც არ იყოს ზოგიერთ მეოჯა-

გამგეობას ნებაც არა აქვს სავალდებულო დადგენილების გამოცემისაო. მაშინ შემოთმოვაქრეთ დაავალეს, გასაყიდი შემო რიგინად დაეწყიათ და ამ ნიშნად ქალაქის ბეჭედიც დასმულიყო. მაგრამ არც ამ გზით ეშველა რა—შემოს ვაქრობაში ისევ სიყალბეა. ახლა გამგეობას შიდა გუბერნიების ზოგ ქალაქების გამგეობათათვის მიუშართავს, შეგვაცუბინეთ, როგორი წესი გაქვთ შემოს ვაქრობის გაწესრიგებისათვის შემოღებულო.

დღეს, 31 ოქტომბრისათვის, ქართულთა-ტრში წარმოსადგენად დახიშნულია ორი ჰეის: «შედაგოკები» და «დათვა» ჩუხოვისა. შედაგოკები შარშან წარმოადგინეს ჰარგულად და ხალხს ძღვან მიუწონა. მონაწილეობას იღებენ: გაუწია: ტაკრასისა, გ. აბაშიძე, კ. შუხია, გუბია და სხვანი.

ქუთაისის ახალი ამბები

საბრალო ქუთაისი ყველაფერს ებოტინება და ვერაფერს ვერ აკეთებს. წყლი-საყვანი, ტრამვაი რკინის გზა—თუ ქუთათურების საოცნებო კითხვები, რომელნიც კიდევ დიდხანს დარჩებიან საოცნებოდ და თუ ოდესმე განხორციელდნენ, უხაროდეთ მხოლოდ კონცესიონერების ჯიბეებს. ამათ ეხლა მოემბა კიდევ კითხვა ქალაქის ელექტრონით განათების შესახებ. ბათუმში მცხოვრები ელექტრო-მექანიკი ი. ა. რელიგიონი სთხოვს ქალაქს ნება დართოს მას ააშენოს ქუთაისში, რიონის ნაპირზე ცენტრალური ელექტრონული სადგური ქალაქის სახლებისა და მაღაზიების გასანათებლად. თხოვნასთან ერთად ბ. რელიგიონი ურდგენს გამგეობას პირობის პროექტს: ა) ნება უნდა ექმნე მას ისარგებლოს პრივილეგიით თუთხმეტი წლის განმავლობაში; ბ) ქალაქს არ უნდა ექმნეს უფლება ვისმე სხვას დართოს ნება ამ ხნის განმავლობაში ქალაქის ელექტრონით განათებისა; გ) ბ. რელიგიონი კისრულობს თავის ხარჯით 69 ელექტრონული ლამპით და ერთი ფარნით BOJ-TOBOY ДУШЬ გაუნათოს ქალაქს წარმოდგენების დროს თეატრი: ზალა. სცენა, მოსართავი ოთახები (УБОРНЫЕ), კასა, ქანდარა, შესავალი და ფოიე (უთუოდ დასცინის ქუთაისის თეატრს, მოსართავი ოთახები და ფოიე რომ არა აქვს); დ) ქალაქს ნება ეძლევა, თუ მოისურვებს, თვითონ გამართოს ელექტრონული განათება, მხოლოდ იმ პირობით კი, რომ ბ. რელიგიონსაც ნება ექმნეს ისარგებლოს თავისი სადგურით; ე) თუთხმეტი წლის შემდეგ ბ. რელიგიონი ვალდებულია ყოველი მოწყობილება ქალაქს დაუტოვოს უფასოდ.

აქვე უნდა მოვიხსენიოთ, რომ ქუთაისში ცნობილი ხელოვნურ წყლების მეზავოდე მ. ლალიძე ამას წინადაც თხოვდა ქალაქს ნება მიეცათ მისთვის ელექტრონით განათებისა ქალაქი და პირობას დებდა უფასოდ ენათე-

ხისათვის მაინც. თან გვსურდა დაგვენახვენა, რომ შევიცარიანი არაფერსა ჰკარგავენ, ყველაფერს ფასი აქვს... იმასაც კი, რაც ჩვენში ყოველად უფასურად მიგვანჩია. ჩვენი პანსიონი მოთავსებულია ორ-სართულიან ხის სახლში, გზის პირად. წინ პატარა ყვავილნარი აქვს გაშენებული. უკან მთის აყოლებასზე საძოვარია შემოღობილი და საძოვარის შემდეგ მთის შეყოლებასზე ნაძვანარია. სულ თავზე დეგცქერის ჩამოფხეილი კლდე. საზოგადო სურათი მეტად საამაოა.

პანსიონში ვღვევართ რვა კაცი. ყველას საკუთარი ოთახი გვაქვს, პატარები, მაგრამ სუფთები. ყველგან ხის სადა ლოგინი, სვეტაკ ქვეშაგებით, ყველგან განჯინა ტანი-სამოსისათვის. სამუშაო მაგიდა, სამიოდ სკამი, პირსამანი, —ყველაფერი, რაც აუცილებლად საჭიროა მდგმურისათვის. ხის იატაკი ყოველ სამ დღეში ირეცხება; საზოგადოდ კი ისეა შენახული, რომ დადგრილი ერბოც აიკრიფება. პანსიონის პატრონია ხანში შესული ქვრივი დედაკაცი, რომელსაც მხარში უდგინა ორი უკვე ჯერზე მომწიფებული გასათხოვარი ქალიშვილი. სამნივე მთელი დღე ფხე ჩაუკრფულად ფუსფუსებენ, ხარზვენი საქმელს, ბაზარში მიდიან სანოვანსასაყილად, რეცხენ, ასუფთავებენ კარმიდამოს, გვილაგებენ ოთახებს, ხელზე გვემსახურებიან, სალამოს ერთ-ერთი ქალი დავთარში სწერს შემოსავალ-გასავლის ანგარიშს.

ბია წარმოდგენის დროს საქალაქო თეატრი და გამგეობის შენობა; გარდა ამისა, თუ ქალაქი თვითონ მოისურვებდა ელექტრონული განათების შემოღებას, მას იმ წამსვე ხელი აელო ქალაქის განათებაზე.

28 ოქტომბრისათვის დანიშნული ქალაქის საბჭოს სხდომა არ შესდგა, რადგან ხმონების საკმაო რიცხვი არ დაეწრო. სხდომა გადაიდო 31 ოქტომბრისთვის.

ამას წინად ქუთაისში აღიძრა ლაპარაკი იმის შესახებ, რომ ტფილისის ქუჩა გრანიტის კუბიკებით მოიგოს, რადგანაც ამ ქუჩაზე შეუწყვეტელი მისვლა-მოსვლაა და გზა-ტკეცილი ძლიერ მალე ფუჭდება; მაგრამ, რადგანაც კუბიკებით ქუჩის მოგებას ერთ-დროულად დიდი ფული სჭირდება, ამიტომ ეს საქმე კიდევ ვერ გადაუწყვეტია ქალაქის გამგეობას. ქუჩა კი იმდენად გაფუჭებული იყო, რომ ცდა აღარ შეიძლებოდა, და ამიტომ ქალაქმა ჯერ-ჯერობით ქუჩის ძველებურად შეკეთება ამჯობინა. 600—700 მანეთის დატენილი ქვა მოაყარეს ზედ, მაგრამ ქუჩას სრულიად არაფერი ეტკობა და ორი-სამის კვირის შემდეგ ისევ შესაკეთებელი გახდება. მიუცილებლად საჭიროა, რომ ეს ქუჩა გრანიტის კუბიკებით მოიგოს. ამისათვის არც ქალაქმა, არც ტფილისის ქუჩაზე მცხოვრებთ არ უნდა დაიშურონ ხარჯი, რადგან შენდგეში დიდ-ხანს სრულიად თავისუფალი იქმნებიან. მაგრამ ეს ხარჯი არც იმდენად საძნელი იქნება, თუ ქალაქი და მცხოვრებნი შეთანხმდებიან და ხარჯს გაიწილებენ. გარდა ამისა, ბან მიხალიოვთან დადებულ პირობის ძალით ტრამვის გამყვანი ამხანაგობა ვალდებულია სალიანდაგო გზა, განით ერთ საყენამდის, თავის ხარჯით გააკეთოს; ამასთან მეეტლებიც, როგორც თვითონვე ამბობენ, დიდის სიამოვნებით დასთანხმდებიან თითო ორ-ოლი თუმანი გამოილონ, ოლონდ კი ისეთი ქუჩა გაკეთდეს, რომ ყოველ თვეში რეზინის შინები არ გაუხდეთ გამოსაცვალი. ამგვარად ქალაქისათვის მაინცა და-მაინც საძნელი არაა ქუჩის გაკეთება, საჭიროა მხოლოდ, რომ არ მიაყრუონ საქმე.

რუსეთის ქრონიკა

ეხლა ხან გამოსულ «Ежег. Минист. Финансов»-ში დაბეჭდილია საყურადღებო ცნობები მიწათ-მფლობელობის შესახებ. შიდა (ევროპის) რუსეთში 1896 წელს სულ 429, 437,000 დესეტინა მიწა იყო. აქედან სახინას ეკუთვნოდა . . . 140,8 მილ დეს. თავდა-ახნაურთ . . . 55,5 " " სხვა შესაკუთრეთ . . . 29,3 " " საყოფლისწულა უწყებს . . . 7,6 " " ქაჯაქისა და დაწესებულებებს 6,3 " " გლეხთა საკუთრება . . . 23,5 " " გლეხთა სახადელო . . . 110,6 " "

განქორწინების საქმის გასაადვილებლად და მოსაწესრიგებლად ნოემბრის დამ-

თითქო მოწყობილი წისქვილი იყვნენ: ყველას თავისი საქმე აქვს მიჩენილი. მთელი დღე რომ ყური უდგოთ, ერთ ამდღებულ ხმით ლაპარაკს ვერ გაიგონებთ მათგან. ყველაფერს ჩუმად, გამოზომილად და დროზე აკეთებენ.

დილის რვა საათზე გრძელს მაგიდას სუფთა სუფრა გადაეფარება და ზედაც საუზმე აწყვია: რძე, ერბო, თაფლი, მურაბა, ყავა ან კაჟაო, პური. ყოველივე ქარბად. იმდენი შეგიძლიათ მიირთვათ, რამდენიც კი გნებავსთ. აქ აქაურის მთის ჰაერის გავლენით უმაღლა იშვიათია. სწორედ შუადღეზე სადილია: წვენი, მოხარშული ხორცი, ხორცივე მოხარკული. მიწა-ვაშლა ან სხვა რამ ბოსტნეული, კომპოტი ან სხვა რამ ტკბილეული და სასმელადაც ანკარა მთის წყალი, ღვინო ცოტა ძვირია და ღირსებითაც სახარბიელო არ არის. სადილის მონელებას ვერ მოასწრებთ, რომ ნაშუადღევს ოთხ საათზე გთხოვენ გინერ-ზე ან ჩვენებურს სამხარზე მობრძანდეთ. სუფრაზე: რძე, კარაქი, ყავა მურაბა. საათის 7-ზე ვახშამდა ვსხდებით; იგივე რძე, ყველი, ერბო, მურაბა, ყავა. ყველაფერი, როგორცა ვსთქვით, ქარბად არის. ამასთან ერთად თვით სანოვანე ყოველგვარის ქაონაურის ღირსია. ხორცი სულ მუდამ ახალია, რძე წმინდა, უხადლო. მთელს შევიცარიანი კანონით მკაცრად აღკრძალულია შერყენილის რძის გაყიდვა.

(გარბილება იქნება)

ლევან განსაკუთრებული კომისია შესდგება. პეტროპოლის, გამოსცენ ისეთი კანონი, რომლის ძალითაც განქორწინების საქმის წარმოება მარტო ნაფიც ვეკილებს შეეძლოს.

24 ოქტომბერს დაიწყო რუსეთის რკინის გზის წარმომადგენელთა კრება. ამ კრებამ, სხვათა შორის, უნდა განიხილოს საქმე რკინის გზის მომუშავეთა სამუშაო დროს განწესებების შესახებ.

პეტროპოლის დაწესდა ახალი თანამდებობა კონტრუქტორ-სანიტარისა.

ზოგიერთ ერობას შუამდგომლობა აღუძრავს გაიმართოს სამუშაო საფუძვრით გამოყენები თესლეულისა და სასოფლო-სამეურნეო იარაღისა. ამ გამოყენებთან განსაკუთრებული ინსტრუქტორები უნდა იყვნენ, რომელთაც გლეხებს უნდა ასწავლონ ახალ მანქანების ხმარება, აგრეთვე ზეინკლობა და მკვლელობა.

სევერნი კრის კორესპონდენტს დაუვლია ქალაქ კოსტრომის სავაჭრო დაწესებულებანი და შეუტრება ცნობები ამ დაწესებულებებში მუშაობის შესახებ. კორესპონდენტის სიტყვით, მუშები 12-დან 16 საათამდე მუშაობენ. ზოგიერთ სავაჭროებში მუშაობა იწყება დილის 4 საათზე და თავდება საღამოს 10-11 საათზე.

დაბა-სოფლები

ჩხალეთი (აჭარა). სოფელ ბარხნიდან ოცის ვერსის მანძილზე, მთა ალაგზე გაშენებულია სოფელი ჩხალეთი. როგორც სხვა მხარეებზე, ისე ამ სოფლის მცხოვრებთა მამულები შეადგენენ. შუაინ-ძიება აქვე დღესაც ძალიან კარგად დგას. აი, ერთი მაგალითი. ამ რამდენიმე წლის წინად ამ სოფელში მცხოვრებნი ჰქონდათ მან-მანად ოცობა თხვის ცოლს, რომელიც იმ დღიდან წასულა თხვის სახლში, დედ-მამათან სტრუქტურადა. ამ კარგობას გაუმარჯობა ჰქონდა ოცობა-ოცობა, რომელსაც კარგად უწევდა ქალის მშობლებისთვის სამაგიეროს გადასახად. რამდენიმე ხანი თუაღი უდგებოდა, მაგრამ სამაგიეროს გადასახად ვერ მოუხერხებია. ბოლოს, 19 ოქტომბერს, როცა ჰქონდა ოცობა მარტო მან-მანად სოფლიდან სახლში მიდიოდა, წინ შეჭხებოდა ცოლი თავის 8 წლის დით. ჰქონდა ოცობის ამოუღია რეორგანიზაცია და უსრულია, მაგრამ პირველი ტყუის ასდგინა. შორეულ ტყუის ცოლის მკერდის დას მოჭხეუდნა, რომელსაც იქვე განუტყუებოდა სული. ამ შეკვლეობის შემდეგ ჰქონდა ოცობა სადღაც დაიშალა.

გ. ლაჭარია.

დიდი-ჯინაში (იმერეთი). აქ არსებობს რამდენიმე სკოლა, სადაც თეორიულ ცოდნასთან ერთად, ორსავე სქესის მოსწავლეები პრაქტიკულ ცოდნასაც იძენენ. აქვე არსებობს სოფლის სამკურნელო, ბანია, სამარხი კასისა და ბაზარი, რომელიც, კარგად მარტოადავით, თან-და-თან ირთება და ღამაზდება კაპიტალისტურ სისტემით, რომლის წინაშე მარტოადავით ცხენის წყლიდან სარწყავად გამოყენებია არხი. სოფელს ამშვენებს სასწავლებლის კარგი ბაღი და სხვა კარგი ხიზთა ბაღიანი ეზოები. მადე ამ სოფელს დაამშენებს სასოფლო-სამეურნეო შენობა, რომლის აგება სასხველად უნდა აღინიშნოს ჯერ ერთი იმით, რომ სოფლისთვის ასეთი დაწესებულება კულტურულად დაწინაურებას ნიშნავს და მეორე იმით, რომ სასოფლო-სამეურნეო სახლის ასაშენებელი ხარჯი სოფლის დარბაზს არ აწევს კისრზე. შენობის აგება საზოგადოების მიერ არჩეულ კომიტეტის წევრებმა იდგეს თავზე, რომელნიც კარგა ხანია კიდევ შეუდგნენ საზოგადოების შექმნულ შევიდნათა შორის შეწირულებათა შეგროვებას. როგორც კომიტეტმა სახლი იყიდა, მაგრამ როცა ჯერ მიდგა სახლის დასაგებლად მიწის არჩევანზე, ატუდა ალაქოთი, რადგან ერთ მხარეს კომიტეტი იწყოდა და მეორეს—მამასხლისი თავისი ამომრჩეველებით. მოგესვენებთ, „სადა ადამარს ხნავს“-თ, უკანასკნელთ დარჩათ გამოკრევაბა. როგორც იყო მოწინააღმდეგეები ერთმანეთს შერბობა სასოფლო-სამეურნეო და მარტოადავით მარტოადავით ეკიბმა ე. ვაშაქიძემ და საზოგადოებამ დაადგინა, რომ შენობა აგებულ იქნას ქაშუეთის ეკლესიის მხარეზე, რომელიც კარგა ხანია დასრულდა, რომელიც ამხანაგობამ შესწირა საზოგადოებას და არა იმ მიწაზე, რომელსაც მამაწავლებელი გ. კოსტოიძე წინადაცა ამ საქმისთვის.

სასამართლო უნდა აღინიშნოს ის კარგობები, რომ ხალხი მეტად მოხარულია ამ საქმის განხორციელებასთან. სასადავოთა კეში ი. კომაროვი განაკვებს.

ა. იანთელი

მუში (ქვემო იმერეთი). გუბელებზე გამოდიოდა: სკოლას სკოლაზე აარსებენ. ესაა კიდევ ერთ-კლასიანი სკოლის ორ-კლასიანთა გადაკეთებას ქვემოზე. იმედია, ორ სხვა სკოლასაც შეინარეებენ გუბელები. გუბე არ არსებობს შემსახველ-გამსახველად ამხანაგობა, ხოლო ასეთი ამხანაგობა დიდდ სჯიდა. გუბე ორად არის გაყოფილი: ერთი ნაწილი ირინება ზატარა ჯინაში შემსახველ-გამსახველად ამხანაგობის წევრად, მეორე—კუხის შემსახველ-გამსახველად ამხანაგობისა. მარტო გუბელებს მოკვდიან 0/0/0-ში დატოვებინეს ჯინაში სკოლის სასარგებლოდ. რა დროს სხვის შეწევნა, რადგან გუბელებს საკუთარი სკოლები მოუთავსებელი აქვთ ან რა სარგებლობა უნდა მოუტანდეს გუბელებს ჯინაში სკოლაში, რომელიც დაშორებულია 6 ვერსით სკოლას აგრეთვე გუბელებმა დაარსდნ საკუთო მომხმარებელი დუქანი და მთი ადგილან ის ზარალი, რომელიც ადგილთ სოფლის ჩარხ-გაჭრებისაგან.

დადიკო

დეკემბერი

(რუსეთის დეკემბრთა საავტენტოსაგან)

29 ოქტომბერი

ლონდონი. ბაღუერმა მწუხრება გამოცხადდა სოფლისთვის სამსახურად დათხოვნის გამო და დასსრულ სისრული გამოსტყვა, რომ შუადობიანობა დაშინდა. ერთად-ერთი სასურველია სქმე შინაურ პოლიტიკაში—პრაქტიკა იმ კანონისა, რომელიც სადავლებზე გახდის სახალხო-განათლების შემოღებას. სამსახურ-ადრეის ომი ორი საკითხის შესახებ იყო: მწურს თუ არა ინგლისს შუადობიანობის დასრულებად მზად იყოს საომარ და მზად არაა თუ არა ინგლისის ავტონომიური კოლონიები ინგლისის იმპერიისთვის იბრძოლებენ? ბაღუერმა იმპერატორის ვიდეოების ინგლისში მოსვლაზე ილაშქრა და სთქვა, რომ ამის შესახებ გაზეთების ოცნებობათა კარგეს არც-კი შევუდგებოდა. სამადაში კესადიციის გაგზავნას შინაშეულობა არ აქვს; აღსანიშნავია მხოლოდ ის, რომ იტალიამ შეკარბული გრძობები გამოუცხადა ინგლისს და, თუ საჭიროება მოითხოვს, საერთო ინტერესების ერთად-დაცვა.

ლილი. ხუთი ათასმა მუშამ ქვა-ნახშირის მადნებში მუშაობა დაწყო.

კოპენჰაგენი. ხელშეწყობა შეწყვიტეს რუსეთს წავიდა; რკინის გზის სადგურზე მიაცილეს დელოფა-ლმა მარამი თეოდორუს ასულმა, მეფემ მეფის გვარეულობამ და რუსეთის სულთანს წვერებამ.

შაზანი. ვოლგაზე მიმოსვლა შეიკრა.

ნიუ-იორკი. კოლუმბიისთან ჰანაშის არხზე მოლაშარაკება მადე დაბოლოვდება.

ბუშარესტი. მეფე რუმუეს წავიდა. თან ასლავან: მინისტრ-პრეზიდენტი სტრუმი, გარეშე საქმეთა მინისტრი ბარტანო და იუკრთა იმ ბოტალიონის წარმომადგენლები, რომელთაც გრეციის ადვოკატი მონაწილეობა ქვედათ მიდებულა.

30 ოქტომბერი

პარიზი. პრეზიდენტის რეკონსტრუქციის იუწყება, ხელშეწყობა-იმპერატორმა კეთილ-ინება და ნება დართო, რომ შინაგან საქმეთა მინისტრმა პლეგემ, ქალ. მუშოვსკი დაბადებულმა, ამ ქალაქის სახტოი მოქალაქის ხარისხი მიიღოს.

რუმუში. მეფე კარლოსი მოვიდა აქა. მეფეს დაუხვდნენ მთავარი, მთავრის მამა ფილიპე, მინისტრები და ჯარი. საღამოთა მეფეს სადღეს გაუმართავენ, ხვალ-კი გრეციისა და პლეგისა მივლენ.

ორიონი. გარდაცვალებულ სერაბო მოდგაწეს მიტინს სერაბო სასოფლო-სამეურნეო სკოლისთვის 14,000 მანეთი შეუწირავს და თავის სახელობაზე დაარსებულს პირველ-დაწვევით სკოლისთვის—6,000 მანეთი და 2 1/2 დეკეტინს მიწა.

ფიცი. აგნებულთ მეთაური დიდის რაზმით დავა მარკოს ჯარს; სულთანის ჯარი გაიქცა.

რუმუში. რუმინის მეფე გემ „ორიონ“-ით მოვიდა; მეფეს მიეგებნენ მთავარი, მინისტრები და კრების თავმჯდომარე. მისსახმებელ სიტყვაში ქალაქის პოლიციის უფროსმა აღნიშნა, რომ მეფეს და მთავრს შუა კარგი გულითადა

ურთი-ერთობა არსებობს. ქალაქის მოკრებმა შეეყის შერ-მარდი მიართვა. შეეყ ქალაქი დათვადიერა და დამდომი-ტორი კორპუსი მიიღო. საღამოს სადღესასწაულო სადღიო გამართეს.

სოფია. ჯუშის ოქტის შემობრუნთ მაშველი ჯარი და ტან-სამკედი მოვიდა.—ცინივე რჩება და უოგელ დღე თანაგრძობის წერილები მიხდის.—რადგან ხალხი მკვლადიანად ცადო-სახლებულედი დადგენ; ესენი ბაში-ბუხუეებს გამოქვეყნებ; დიდ სიღარიბეში არიან ჩაცვაუნ-დნი. აჭური სღაფანთა საზოგადოება ტანისმისს უგზავნის ამ გამოქვეყნელთ.—რადგან სანდ-სკის მეთაურობით აჭანებში იფეთა. 26 ოქტომბერს ბუღინაში შეტყვა მოხდა. სანდ-სკიმ ბუღინა დაჭირა. ამსადებმა წრე შემოაფლეს. ისაყვის და დეკტორების რაზმები წრე შემოაფლულთ დასასხნედაც წავიდნენ.

მალნიზოვო. სენატმა განკარგულება მოახდინა, რომ საქალაქო პოლიციისთვის რეფორმის პროექტი შეადგინონ რუსეთის წესების შესაგებად.

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბაღარი

განცხადება

ქუთაისში

სამ. ბ. თოფურისა

სამკურნალო

რომელიც იმყოფება მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოდეონურკედიის მფარველობის ქვეშ. სამკურნალოშია 60 საწოლი შინაგან, ნერვებისა, სახირურგო, დედათა და თვლით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევთა კაბინეტით. ვადამდების სენით და სულით ავადმყოფებს სამკურნალო არ ღებულობს. (0-39)

მიიღება ხელის-მოწერა ქურნალ

„მობზაურ“-ი

1903 წელს ქურნალი „მობზაური“ გამოვა ახლის გავრცელებული პროგრამით. მასში დაიბეჭდება პედაგოგიური, სამეურნეო, სამეცნიერო, საისტორიო და სხვა გვარი წერილები. ყოველ საუკეთესო წერილს რედაქცია ამავე დროს ცალკე იაფ-ფასიან წიგნადაც გამოსცემს ხალხში მრავლად გასავრცელებლად.

ეს გარემოება, იმედია, აამოძარცვს მთლად ჩვენს სახალხო მწერლებს და ბევრს ისეთებსაც ააღებინებს კალამს ხელში, რომელთაც აქამდის სრულიად დაკარგული ჰქონდათ ხალხის ხალხისთვის წერისა, რადგანაც გამომცემელი არ ეზოგებოდათ. იმედია, ამ გვართვე არც მკითხველი საზოგადოება მოვიდება გულ-გრილად ჩვენს ასეთს განზრახვას და ხელს მოგვიმართავს როგორც ხელის-მოწერით, ისე წიგნების გავრცელებით ხალხში (ერთმა პარტიკულმა გავიმა რა ნახა ჩვენი იაფ-ფასიანი წიგნები, მაშინვე იყიდა სამი მანეთისა სოფელში მუქთად დასარიგებლად).

მომხსენებელის თანხმად „მობზაურის“ რედაქციამ ამ ორს თვეში უკვე გამოცა ხუთმეტზე მეტი ზურთანი წიგნი, ვითარცა: „წერილი სოფელ მუშას“, „ლოტერიტი“, „ღელა-აზრი მეცნიერებისა“, „თეოლოგია-ფილოსოფია და მეცნიერება“, „რა არის გონებითი განხან-განვითარება“, „პურის მოყვანა ჩინურ-იაპონურის წესით“, „რისგან იხოცებიან უღროვოდ ჩვენი ბავშვები“, „ღანა-შულობა-დაშნა-შავენი“, „რაშია ბედნიერება“, „სარკე გურულთა ცხოვრებისა“, „აბრასკილი“, „მეურნეობა და პირადი მუშაობა-მოქმედება“, „როგორ არჩენენ ადამიანებს დანით“, „სულით ავადმყოფი მოსწავლენი“ და სხვ. და სხვა. პირველი და მეორე ნომერი „მობზაურისა“ გამოვა იანვრის პირველს რიცხვში.

ფანი შურნალის იგივეა, ესე იგი 5 მანეთი გავზავნით, მასწავლებელთათვის და ხელ-მოკლე დაწესებულებათათვის—4 მანეთი.

ფული და წერილები უნდა გამოგზავნოს ტფილისს ამ ადრესით: Вь Тифлисъ, Редакция «Мобзаури» (Межев. № 72).

(შ. 6—1)

რედაქტორ-გამომცემელი ივანე როსტომაშვილი

ახალი სახურაპი, რომელიც შედგება პატენტით აღებული ფაბრიკა და საცინო ქარხანა

ი. ფელენგოვსკის

ამხანაგობის წარმომადგენელი:

ტფილისში **გ. მულიარსკი** (ერევნის მოედანზე № 25)

ქუთაისში **ვ. ჭილაძე** (ტფილ. ქუჩა ხეუთ. სახ.) (0-49)